საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-SECURITY POLICE DEPARTMENT

№ 173567 „09" 02 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს, საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №237 კონკურსში გამარჯვებულ მომწოდებელ შპს „ირაო არტი"–სთან, მ. წ 7 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №04/713/02 ხელშეკულებაში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით გაფორმდა შეთანხმების ოქმი #01.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას შეთანხმების ოქმის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ახვლედიანი

0031, საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ, ტელ: 2966316, (ფაქსი) 2517497, WWW.SPD.GE
0031,GEORGIA,TBILISI,DAVID AGMASHENEBELI ALLEY 11-TH KM, TEL:2966316, (FAX) 2517497, WWW.SPD.GE

შეთანხმების ოქმი №

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 04/713/02 ხელშეკრულებასთან

71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვა

ქ. თბილისი " 7 " თებერვალი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარატამენტი (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი), წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილით **მიხეილ ახვლედიანით** (შემდგომში „შემსყიდველი") და შპს „ირაო არტ"-ი, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4;) წარმოდგენილი საზოგადოების დირექტორით შალვა ჩიტიშვილით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი, შპს „ირაო არტ"-ის 2012 წლის 26 იანვრის წერილის განხილვის საფუძველზე, გაფორმებულ № 04/713/02 ხელშეკრულებაში, ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შევთანხმდით შემდეგზე: შპს „ირაო არტ"-ის წერილის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარატამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს „მომწოდებელს" გაუგრძელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის II ეტაპით გათვალისწინებული ვადა 2012 წლის 1 მარტამდე, ნაცვლად I ეტაპის მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან (09.01.2012წ) 23 სამუშაო დღისა; აღნიშნულიდან გამომდინარე № 04/713/02 ხელშეკრულების 1.5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1.5. სამუშაოთა შესრულების ვადები
მომწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერიდან, ეტაპობრივად, მიღება ჩაბარების პროცედურების გათვალისწინებით, 2012 წლის 1 მარტამდე ვადაში. მათ შორის:

- I ეტაპი – 7 სამუშაო დღე; (ხელშეკრულების ხელმოწერიდან).
- II ეტაპით გათვალისწინებული მოწოდების ვადა – 2012 წლის 1 მარტამდე".

საქართველოს შ.ს.ს. ს.ს.ი.პ.	შპს „ირაო არტ"-ის
დაცვის პოლიციის დეპარტამენტის	დირექტორი
თავმჯდომარის მოადგილე	
---------- /მ. ახვლედიანი/-	---------- /შალვა ჩიტიშვილი
„ 07 „ თებერვალი 2012 წ	„ 07 „ თებერვალი 2012 წ